

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, უპირველესად, გამორჩეულია იმით, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფაკულტეტია. ამასთანავე, ის არის ლიდერი კვლევითი ფაკულტეტი არა მხოლოდ თსუ-ში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ფაკულტეტი დღეს აერთიანებს შემდეგ ფუნდამენტურ/გამოყენებით დარგებს: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, გეოგრაფია და გეოლოგია. თითოეულ ამ დარგს/მიმართულებას უნიკალური ისტორია გააჩნია, რომელიც ჩვენთვის ერთდროულად საამაყოცაა და საპასუხისმგებლოც. მათ სათავეებთან ხომ ის ადამიანები დგანან, რომლებმაც ჩვენი უნივერსიტეტის ისტორია შექმნეს. მაგალითად, პეტრე მელიქიშვილი, თსუ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი რექტორი; ანდრია რაზმაძე, ანდრია ბენაშვილი, ივანე ბერიტაშვილი... და ეს არ არის მხოლოდ სახელები. ეს არის ჩვენი წარსული, რომელიც გვაძლევს სტიმულსა და მოტივაციას, მათი ღვაწლის შესაფერისი აწყო შევქმნათ და გავაგრძელოთ მათ მიერ დაწყებული საქმე. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია ამ დარგების განვითარება და ხელშეწყობა მნიშვნელოვან საქმედ.

კაცობრიობის ისტორიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ყოველთვის ეკავა უმნიშვნელოვანესი ადგილი. ცხადია ისიც, რომ მისი როლი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ფუნდამენტურმა აღმოჩენებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საქმეში. მაგალითად: რადიოაქტივობის, ატომური და თერმობირთვული რეაქციების მოვლენამ, თანამედროვე ელექტრონიკისა და ნანოტექნოლოგიის შესწავლა - დანერგვამ ძირეულად შეცვალა ჩვენი ცხოვრება. ამდენად, ბუნებისმეტყველება უდიდეს როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოებაში და წარმოადგენს ჩვენი სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემას, რომლის გარეშე ვერ ვიარსებებთ.

სწორედ ცოდნის შექმნაში, მის აქტიურ გამოყენებასა და საჭიროების შემთხვევაში სათანადო მიმართულებით კონცენტრაციაში, ამა თუ იმ სფეროს წამოწევაში ეხმარება ბუნებისმეტყველება საზოგადოებას, რადგან იგი თავისი არსით ფლობს საჭირო კომპონენტებს - ფიზიკას, მათემატიკას, ინფორმატიკას, ქიმიას, ბიოლოგიას, გეოლოგიას, გეოგრაფიას, ელექტრონიკასა და ექსპერიმენტის ხელოვნებას. ეს კი ხშირად საშუალებას გვაძლევს მივუთითოთ, ბუნებაში სად რა ახალი მოვლენის არსებობაა შესაძლებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ფუნდამენტურ კვლევებზე დაფუძნებული შედეგებია სრულფასოვანი და მნიშვნელოვანი გამოყენებითი მეცნიერების სფეროში, მისი სწრაფი და წარმატებული განვითარებისათვის. ფუნდამენტური კვლევების უყურადღებოდ დატოვება უარყოფით გავლენას ახდენს და ზიანს აყენებს როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი მეცნიერების განვითარებას და შესაბამისად, მთლიანად საზოგადოებას.

მწელი წარმოსადგენი არაა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლა დიდ მონდომებასა და შრომას მოითხოვს, რაც, გარკვეულწილად, აფრთხობს ახალგაზრდებს და ამიტომაც საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას და სტიმულირებას.

დღეს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინდიფერენტიზმის პირობებში (რაც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად ევროპის პრობლემაა), აუცილებელია ერთიანი მიდგომა და მენეჯმენტი, რაც ჩვენი ფაკულტეტის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, მდგრადობითაა შესაძლებელი.

თსუ არის კვლევითი უნივერსიტეტი და სწორედ ჩვენი ფაკულტეტი გახლავთ ფლაგმანი ამ მიმართულებით. ვფიქრობ, ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და განვითარება. სწორედ სწავლა-სწავლება არის ფაკულტეტის საქმიანობის საკვანძოდ მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილი, რადგანაც ჩვენ ჩვენს სტუდენტებს უნდა მივცეთ შესაბამისი ცოდნა და ამავდროულად აღვჭურვოთ ისინი იმ უნარებით, რომლებიც მათ თანამედროვე რეალობაში ადაპტაციისა და დამკვიდრების საშუალებას მისცემს. ამას კი სჭირდება კომპლექსური მიდგომა და გუნდური შრომა, რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს ჩართული ჩვენი ფაკულტეტის თითოეული წევრი.

ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო აქტივობები წარმოუდგენელია ადმინისტრაციული მხარდაჭერის გარეშე, შესაბამისად, ეს მიმართულებაც უნდა იყოს ასახული ფაკულტეტის განვითარების კონცეფციაში.

სწავლა-სწავლების მიმართულება:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 14 საბაკალავრო, 17 სამაგისტრო და 10 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც ჯამში სწავლობს 2953 სტუდენტი, რომლებსაც ემსახურება 150 აკადემიური პერსონალი, ასამდე მასწავლებელი და დამხმარე პერსონალი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ფაკულტეტის პროგრამები, რომელთაც საერთაშორისო აკრედიტაციები მოიპოვეს. საამაყოა, რომ თსუ-ის პროგრამებმა ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიასა და კომპიუტერულ მეცნიერებაში პირველივე ჯერზე მიიღეს ABET-ის ექვსწლიანი ამერიკული აკრედიტაცია. თსუ-ის საბაკალავრო პროგრამა ქიმიამი პირველი პროგრამაა საქართველოში, რომელმაც ამერიკის ქიმიური საზოგადოების (ACS) სერტიფიცირება მიიღო. საქართველო 24-ე ქვეყანაა, სადაც ACS-ის წარმომადგენლობა გაიხსნა.

აქვე აუცილებლად აღსანიშნავია ჩვენი ფაკულტეტის უცხოურ უნივერსიტეტებთან წარმატებული თანამშრომლობის მაგალითები ერთობლივი პროგრამების მიმართულებით: ფუნდამენტური ფიზიკის სამაგისტრო პროგრამაზე ლაკვილას (იტალია) უნივერსიტეტთან შეთანხმებით შესაძლებელია მოხდეს ერთობლივი მაგისტრის ხარისხის მინიჭება ფიზიკაში ორივე დაწესებულების მიერ. ასევე მინდა გამოვყო კომპიუტერული მეცნიერების ფრანგულ-ქართული საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ხორციელდება ევრის უნივერსიტეტთან (საფრანგეთი) თანამშრომლობის ფარგლებში. იგი შესაძლებლობას იძლევა მოხდეს ორი ხარისხის მინიჭება. გრძელდება ასევე სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან

ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა კომპიუტერულ მეცნიერებაში. ეს ყოველივე ადასტურებს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა აუცილებელია და რაც მთავარია შესაძლებელია.

ფაკულტეტი საერთაშორისოდ აღიარებულ დარგებს აერთიანებს. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისა და ახალი პროგრამების დანერგვის პროცესში მიზანშეწონილია მათი შესაბამის დარგში მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან მიახლოება. ჩემი აზრით, თითოეულმა დეპარტამენტმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად უნდა ჩაატაროს შესაბამისი ანალიზი და საგანმანათლებლო პროგრამები ამ მიმართულებით განავითაროს. იგივე პრინციპი უნდა განხორციელდეს სილაბუსების დონეზეც. ამასთანავე, უნდა გავზარდოთ საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა. საგანმანათლებლო პროგრამები ამავდროულად უნდა ასახავდეს ინდუსტრიისა და ბაზრის მოთხოვნებს. ასევე აუცილებელია საგანმანათლებლო სფეროს ხარისხის გაუმჯობესება და მისი მონიტორინგის (ასევე როგორც ხარისხის ზრდის ერთ-ერთი საშუალების) უფრო ეფექტიანი მექანიზმების შექმნა (მაგალითად, როგორცაა სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზი, სემესტრული საგნობრივ-საათობრივი დატვირთვის ანალიზი, დეპარტამენტებთან ამ შედეგების დეტალური შეჯერება, აღმოჩენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებების დაგეგმვა და შესრულება, შესრულების შედეგების გაცნობა ფაკულტეტის საბჭოსათვის).

მნიშვნელოვანი რეფორმა უნდა შეეხოს სამაგისტრო სწავლებას. სამწუხაროდ, დღესდღეობით მაგისტრანტთა დიდი ნაწილი, პრაქტიკულად, არ დადის ლექციებზე. ამაში მათ დატვირთული სამუშაო გრაფიკი უშლით ხელს. როგორც განათლების და მეცნიერების მინისტრმა დააანონსა, სახელმწიფო აღიარებს ონლაინ განათლებას და მომავალში დაგეგმილია კანონის მიღება ონლაინ სწავლების შესახებ. ვფიქრობ, ამ მიმართულებით უნდა დავიწყოთ ზრუნვა, რაც გამოიხატება სამაგისტრო პროგრამების მოდერნიზებაში. აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი დუალური სამაგისტრო პროგრამები უცხოურ უნივერსიტეტებთან, სადაც შესაძლებელი იქნება ჰიბრიდული კომპონენტით სარგებლობა.

ონლაინ განათლების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სასწავლო პროცესის ციფრული ტრანსფორმაცია. რაც გულისხმობს ძლიერი ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომელიც მორგებული იქნება საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვაზე. ჩემი აზრით, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ციფრული ინსტრუმენტების და პლატფორმების უწყვეტი ინტეგრაციის უზრუნველყოფა კურიკულუმში და სასწავლო გარემოში; ფაკულტეტის თანამშრომლების პროფესიული განვითარება; შინაარსის განვითარება და სტუდენტების მხარდაჭერა. ამ მიმართულებით ჩვენს ფაკულტეტს შეუძლია გააუმჯობესოს განათლების მიწოდება და ხელმისაწვდომობა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ხელი შეუწყოს ინოვაციას და აკადემიურ სრულყოფას.

ვფიქრობ, აუცილებელია, არსებული პროგრამების პოპულარიზაცია და სკოლებთან თანამშრომლობა. მნიშვნელოვანია, განვაავითაროთ მასწავლებელთა მომზადების პროგრამები და ვითანამშრომლოთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

მიმაჩნია, რომ ჩვენი ფაკულტეტი უნდა იქცეს ფუნდამენტური დარგების მიმართულებით მასწავლებელთა გადამზადების ცენტრად.

სადოქტორო პროგრამების განვითარება ასევე უნდა განიხილებოდეს საერთაშორისო პრაქტიკის ჩარჩოებში, ამავდროულად პასუხობდეს დარგის საჭიროებებს და მათ უწყვეტ განვითარებაზე იყოს აქცენტირებული. მიმაჩნია, რომ ამ მხრივ დოქტორანტების სწავლებაში ჩართულობის გაზრდაა მნიშვნელოვანი, რაც შესაბამისი აკადემიური პერსონალის უწყვეტ ჩანაცვლებას უზრუნველყოფს.

სტუდენტური ცხოვრება უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია. თსუ-ის სტუდენტების უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია თსუ-ის წესდებით, ეთიკის კოდექსითა და ინდივიდუალური ხელშეკრულებებით.

თსუ-ის სტუდენტებს საკმაოდ მრავალფეროვანი სერვისებით სარგებლობის საშუალება აქვთ, თუმცა ფაკულტეტზე სტუდენტური ცხოვრების გასაუმჯობესებლად საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება - უნდა გაუმჯობესდეს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და სერვისებში სტუდენტების ჩართულობა. ფაკულტეტმა ხელი უნდა შეუწყოს და მხარი დაუჭიროს მომავალი თაობის სხვადასხვა აქტივობების ჩატარებას (კონფერენციები, ექსკურსიები და სხვ). ეს ყოველივე ხელს შეუწყობს მათ ჩართულობას და ინტეგრაციას აკადემიურ სივრცეში.

გამოწვევად რჩება სტუდენტური სივრცეების არსებობა ყველა სასწავლო კორპუსში; ეს სამუშაოები განხორციელდა რიგ კორპუსებში და აუცილებლად გაგრძელდება.

გამოწვევები გვაქვს ასევე სტაჟირების/პრაქტიკის გავლის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რაც უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად უნდა იქცეს.

საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებაა. გაფორმებულია მრავალი ორმხრივი ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება სტუდენტური, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამები. თსუ აქტიურადაა ჩართული ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში: ერაზმუს პლუსის საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა და ერაზმუს პლუსის ინსტიტუციური განვითარების პროგრამა. ამ მხრივაც მრავალ სტუდენტს, აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლონ მოკლევადიანი მობილობით პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში როგორც საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის. **მნიშვნელოვანია ამ მხრივ შემდგომი ხელშეწყობა.**

საკვანძო საკითხია აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება. თსუ-ის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება წარმოადგენს ანაზღაურებას სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვისა (აკადემიური პერსონალის დატვირთვის 50%) და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის (აკადემიური პერსონალის დატვირთვის 50%) და თსუ-ის წესდების მოთხოვნის შესაბამისად, განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის N112 დადგენილებით (მასში

განხორციელებული ცვლილებებითა და დამატებებით). ფაკულტეტების მიხედვით შრომის ანაზღაურება საკმაოდ დიფერენცირებულია, რაც, ჩემი ხედვით, მოითხოვს სათანადო ანალიზს და ნაბიჯებს, რათა მოხდეს ანაზღაურებათა დაახლოება/გათანაბრება. ჩემი დეკანად არჩევის შემთხვევაში ამ მიმართულებით ძალისხმევას არ დავიშურებ.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა:

თსუ-ში დღეისათვის ხორციელდება 300-ზე მეტი (ეროვნული და საერთაშორისო) კვლევითი პროექტი (მათ შორის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების უდიდესი ნაწილი), რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაში. თსუ-ის სახელით ყოველწლიურად ქვეყნდება 600-ზე მეტი პუბლიკაცია მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში (იგულისხმება Scopus-ის და Web of Science-ის ბაზებში ინდექსირებული გამოცემები). თავის მხრივ კი უნივერსიტეტის სამეცნიერო პროდუქტიულობასა თუ ხილვადობაში ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის როლი ისტორიული და მნიშვნელოვანია. ამავდროულად, ფაკულტეტის კონკურენტული და ცნობადი საერთაშორისო სუბიექტის სახით ჩამოყალიბებისთვის მეტად უნდა ვიყოთ აქცენტირებული, ყოველწლიურად გაიზარდოს დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა და მოვიზიდოთ კვალიფიციური სამეცნიერო რესურსი. **სამომავლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოწვევაა როგორც მაღალრეიტინგული პუბლიკაციების, ასევე ევროპული და სხვა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების რიცხვის გაზრდა.**

მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის წახალისების უფრო დახვეწილი მექანიზმების შექმნა. კერძოდ, ამჟამად ფაკულტეტზე მოქმედებს სქემა, რომელიც ითვალისწინებს ანაზღაურების გაცემას წლის განმავლობაში ერთი იმპაქტ ფაქტორის მქონე გამოცემებში არსებული პუბლიკაციისთვის. მიზანშეწონილია ამ მოდელის უფრო მეტად დიფერენცირება და დაფინანსების მნიშვნელოვანი გაზრდა ხელშემწყობი მექანიზმის გაფართოებით (რეიტინგულობისა და ციტირებადობის გათვალისწინებით სხვადასხვა პაკეტის შეთავაზებით).

გასათვალისწინებელია მიზნობრივი კვლევითი პროექტების განხორციელება სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობით. ამავდროულად, უნდა მოხდეს ფაკულტეტზე ახალგაზრდა კადრების ეტაპობრივად მოზიდვა.

ფაკულტეტი ასევე ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინური ჯგუფების ჩამოყალიბებას ან/და ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

საგანმანათლებლო საქმიანობის, ისევე როგორც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, პროდუქტიულად და ხარისხიანად განხორციელებას პირდაპირ უკავშირდება შესაბამისი მატერიალური რესურსი - დაწესებულების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს თსუ-ის საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს, აგრეთვე სტუდენტთა იმ რაოდენობას, რომელიც ამა თუ იმ მიმართულებაზე სწავლობს. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების

ერთ-ერთ ინდიკატორს სწორედაც პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის არსებობა წარმოადგენს.

პირველი კორპუსის რეაბილიტაციის შემდეგ დაიწყო და ამჟამად მიმდინარეობს თსუ-ის ისტორიული მეორე კორპუსის რეაბილიტაცია. არსებობს გარკვეული პრობლემები როგორც უკვე განხორციელებულ, ასევე მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით, რაზეც გვაქვს და გვექნება შესაბამისი რეაგირება.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს თსუ-ისა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ერთობლივი, უცხოენოვანი STEM მიმართულებების საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში განახლებული და მოწყობილი თანამედროვე სტანდარტების აუდიტორიები და სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, უდიდეს გამოწვევად რჩება ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა როგორც სააუდიტორიო ფართის, ასევე შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით (კომპიუტერები, პროექტორები, ეკრანები). გადაუდებლად მოსაგვარებელია ინტერნეტსერვისების მიწოდება, როგორც საკაბელო, ისე Wi-Fi. აუცილებელია მე-11 კორპუსის კაპიტალური რემონტი, აუდიტორიების აღჭურვა სათანადო ციფრული რესურსებით, ლაბორატორიების მხარდაჭერა და უზრუნველყოფა კვლევების ჩასატარებლად, სტუდენტური სივრცეების მოწყობა. აუცილებელია მეორე კორპუსში არსებული აუდიტორიების დაცვა და შენარჩუნება.

ადმინისტრაცია:

ფაკულტეტის როგორც ადმინისტრაციული, ისე დამხმარე პერსონალი კვალიფიციური, მაგრამ ნაკლებად მოტივირებულია; საჭიროა ინოვაციური იდეების წახალისება და შესაბამისი პასუხისმგებლობით მათი ეფექტურად განხორციელება; განსავითარებელია პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმები, შრომის ანაზღაურების ეტაპობრივი გაზრდა, ასევე კორპორაციული კულტურა.

აუცილებელია ფაკულტეტის ვებ-გვერდის შემდგომი სრულყოფა თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, ძირითადი ინფორმაციის ინგლისურ ენაზე დუბლირება, რამაც უნდა უზრუნველყოს ხილვადობის გაზრდა საერთაშორისო პარტნიორებისა თუ პოტენციური უცხოელი სტუდენტებისთვის. საჭიროა სოციალური ქსელებისა და სხვადასხვა პლატფორმის აქტიური გამოყენება; სარეკლამო-საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება, ღია კარის დღეების სისტემატურად ჩატარება სკოლის მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის.